თსუ • **2026–2027**

პირველკურსელის ადმინისტრაციული გზამკვლევი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სწავლა იწყება 2026 წლის 21 სექტემბერს

თქვენი პირველი ნაბიჯები

01	**7–14 სექტემბერი** შეავსეთ ელექტრონული ანკეტა
02	**7–14 სექტემბერი** წარმოადგინეთ დოკუმენტები და გააფორმეთ ხელშეკრულება
03	**რეგისტრაციის პერიოდში 16- 21 სექტემბერი** აირჩიეთ საგნები uni.tsu.ge-ზე
04	**ელფოსტის მიღების შემდეგ** გააქტიურეთ თსუ-ის ელფოსტა და დარეგისტრირდით e-learning-ზე

1. რეგისტრაცია და ხელშეკრულება

ნაბიჯი 1 — შეავსეთ ელექტრონული ანკეტა

ვადა: 7–14 სექტემბერი, 2026 წ.

ანკეტა გააქტიურდება 7 სექტემბერს. ელექტრონული ანკეტის გახსნა

> ❗ მნიშვნელოვანია: სახელი და გვარი ინგლისურად ჩაწერეთ ზუსტად ისე, როგორც პირადობის მოწმობაში ან პასპორტშია მითითებული. თსუ-ის ელ.ფოსტა იქმნება შესაბამისი გრაფის შევსების შემდეგ.

ნაბიჯი 2 — წარმოადგინეთ დოკუმენტები

ვადა: 7–14 სექტემბერი, 2026 წ. 10:00–18:00 (შაბათ-კვირის გარდა)

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი №11, თსუ, III კორპუსი, ოთახი №206

ფაკულტეტზე დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ გაფორმდება სასწავლო ხელშეკრულება.

რა უნდა წარმოადგინოთ?

☐ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

☐ პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი — დედნის წარმოდგენით;

☐ ორი ფოტოსურათი — 3 × 4 სმ;

☐ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი — შესაბამისი ვალდებულების მქონე პირებისთვის;

☐ უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი — არსებობის შემთხვევაში.

! მნიშვნელოვანია: **თუ არასრულწლოვანი ხართ** უფლებამოსილმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს თქვენი დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი და საკუთარი პირადობის მოწმობა.

2. საგნების არჩევა და სასწავლო განრიგი

აკადემიური რეგისტრაცია

აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში 16-21 სექტემბერს შედით uni.tsu.ge-ზე და აირჩიეთ მიმდინარე სემესტრის საგნები.

- სასწავლო კურსების შესახებ, დამატებითი ინფორმაცია გზამკვლევი.

! მნიშვნელოვანია: აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში სტუდენტის სტატუსი შეჩერდება.

თუ საგნის შეცვლა გინდათ

არჩეული სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება შეგიძლიათ სასწავლო პროცესის დაწყებიდან პირველი კვირის განმავლობაში. საგნის შეცვლას შეძლებთ, თუ სასურველ საგანზე იქნება თავისუფალი ადგილი.

სად ნახავთ განრიგს?

- საგნების არჩევის შემდეგ თქვენი ინდივიდუალური განრიგი გამოჩნდება uni.tsu.ge-ზე;
- ფაკულტეტის საერთო სასწავლო განრიგი განთავსდება ფაკულტეტის ვებგვერდზე;
- გამოცდების განრიგს მიიღებთ uni.tsu.ge-ზე შეტყობინების სახით.

აკადემიური კალენდარი

კალენდარში ნახავთ აკადემიური რეგისტრაციის, სააუდიტორიო მეცადინეობების, დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისა და არდადეგების ვადებს.
2026–2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

! მნიშვნელოვანია: სააუდიტორიო სწავლება იწყება 2026 წლის 21 სექტემბერს.

3. თქვენი ციფრული სივრცე თსუ-ში

თსუ-ში ყოველდღიურად გამოიყენებთ სამ ძირითად ციფრულ სივრცეს.

პლატფორმა	რისთვის გამოიყენება?
uni.tsu.ge	საგნების არჩევა • განრიგი • სილაბუსები • შეფასებები • ცნობები • ადმინისტრაციასთან მიმოწერა
თსუ-ის ელფოსტა	ოფიციალური კომუნიკაცია. მისამართის uni.tsu.ge-ზე ასახვის შემდეგ ელფოსტა გააქტიურეთ gmail.com-ზე.
e-learning.tsu.ge	ატვირთულია ყველა საგნის სასწავლო მასალები და დავალებები. დარეგისტრირდით uni.tsu.ge-ზე არჩეულ ყველა საგანზე.

uni.tsu.ge-ზე შეგიძლიათ

- აირჩიოთ მიმდინარე სემესტრის საგნები (საათების მითითებით);
- ნახოთ სასწავლო და საგამოცდო განრიგი;
- გაეცნოთ საგამოცდო ცენტრში დაგეგმილი შუალედური და დასკვნითი გამოცდების განრიგს;
- გაეცნოთ სილაბუსებს, შეფასებებსა და დაგროვილ კრედიტებს;

- მიმართოთ ფაკულტეტის ან ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს;
- მოითხოვოთ ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სასწავლო ბარათიდან;
- მიიღოთ ინფორმაცია რეგულაციებისა და მიმდინარე სიახლეების შესახებ;
- მიმოწერა აწარმოოთ ფაკულტეტთან, თსუ-ის ცენტრალურ ადმინისტრაციასა და საგამოცდო ცენტრთან.

4. საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები და გამოცდები

სილაბუსი - სასწავლო კურსის გეგმა

საგნის არჩევის შემდეგ აუცილებლად გაეცანით მის სილაბუსს. სილაბუსში მითითებულია:

- ყოველკვირეულად გასავლელი საკითხები;
- ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა;
- შეფასების კომპონენტები და ქულების განაწილება;
- სასწავლო კურსის მოთხოვნები და მნიშვნელოვანი ვადები.

საგანმანათლებლო პროგრამა

გაეცანით თქვენი პროგრამის სტრუქტურას, სავალდებულო და არჩევით საგნებსა და კრედიტების განაწილებას.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები
პროგრამული გზამკვლევი პირველსემესტრელთათვის

! მნიშვნელოვანია: 180-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა 6 სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს პროგრამით განსაზღვრული 180 კრედიტი.

კრედიტი ასახავს სასწავლო კურსის დატვირთვას. 1 კრედიტი = 25 სთ. კრედიტი მოიცავს როგორც სააუდიტორიო სწავლებას, ისე სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას.

გამოცდები

შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება თსუ-ის საგამოცდო ცენტრში ან ფაკულტეტზე. ზუსტი ინფორმაცია და განრიგი ეტაპობრივად გამოქვეყნდება uni.tsu.ge-ზე.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

სანამ სემესტრი დაიწყება

- ☐ გადაამოწმეთ, რომ ყველა სასურველი საგანი არჩეული გაქვთ;
- ☐ ჩამოტვირთეთ ან წაიკითხეთ თითოეული საგნის სილაბუსი;
- ☐ ჩაინიშნეთ შეფასების ფორმები და ძირითადი ვადები;
- ☐ დარეგისტრირდით შესაბამის კურსებზე e-learning.tsu.ge-ზე.

გაითვალისწინეთ, რომ სამჯერ ერთი და იგივე სავალდებულო საგნის ვერჩაბარების შემთხვევაში შეგიწყდებათ სტუდენტის სტატუსი.

5. ვის მივმართოთ დახმარებისთვის?

აკადემიური რეგისტრაცია და საგნების არჩევა

კურსის არჩევისას პრობლემის ან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდით ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტს — uni.tsu.ge-დან.

ოფიციალური განცხადება

თუ დეკანის სახელზე განცხადების გაგზავნა გჭირდებათ, გამოიყენეთ ეს მისამართი:
chancellery.pes@tsu.ge

ლექტორთან კომუნიკაცია

გამოიყენეთ თსუ-ის ოფიციალური ელფოსტა ან e-learning.tsu.ge. აკადემიური პერსონალის საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე.
[აკადემიური პერსონალის გვერდი]

სწრაფი ბმულები

- **სასწავლო პროცესის მართვის პორტალი**
- ელექტრონული სწავლება
- აკადემიური კალენდარი
- სასწავლო პროცესის წესი

☎ თსუ-ის ცხელი ხაზი

- (032) 2 25 04 84 — შიდა 3221
- (032) 2 25 04 84 — შიდა 3046
- (032) 2 25 04 84 — შიდა 3224 / 3225 / 3222

📍 მისამართი

თსუ, III კორპუსი
0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №11

🕒 ადმინისტრაციის სამუშაო საათები

სამუშაო დღეები	ორშაბათი–პარასკევი
სამუშაო საათები	09:00–18:00 | შესვენება 13:00–14:00

❗ მნიშვნელოვანია: ოფიციალური მიმოწერისას ყოველთვის მიუთითეთ სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პროგრამა და საკითხის მოკლე აღწერა.
გთხოვთ, ისარგებლოთ თსუ-ს ციფრული სივრცით: ელ.ფოსტა, e-learning.tsu.ge და uni.tsu.ge